ეთიკის კომისიის

გადაწყვეტილება

დისციპლინური დევნის ღვრაზე უარის თქმის თაობაზე

მეხუთე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ია გაბედავა - კოლეგიის თავჯდომარე

არჩილ ჩოფიკაშვილი - კოლეგიის წევრი

ბესარიონ ბოხაშვილი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: მ. ც.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 21.03.2016

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 020/16

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ნ. ქ.-ს /სიითი №/ მიმართ

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ნ. ქ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2016 წლის 21 მარტს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა მ. ც.-მ და მოითხოვა ადვოკატ ნ. ქ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. 2016 წლის 24 თებერვალს საპროცესო კოლეგიას საჩივრის ავტორმა მ. ც.-მ წერილობითი ფორმით წარმოუდგინა ახსნა-განმარტება საჩივარზე.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, 2014 წელს ის დააკავეს მარიხუანას ერთჯერადი მოხმარებისთვის. მან დახმარებისთვის მიმართა ადვოკატ ნ. ქ.-ს, რომელიც იცავდა საჩივრის ავტორის ინტერესებს --- რაიონულ სასამართლოში. მ. ც. განმარტავს, რომ მოსამართლემ მას დააკისრა 500 ლარის ოდენობით ჯარიმა, რომელიც მან ვერ გადაიხადა, ვინაიდან ის და მისი ოჯახი სოციალურად დაუცველები იყვნენ. რამდენიმე დღეში მ. ც. კვლავ დააკავეს მარიხუანას მოხმარებისთვის და მის მიმართ აღიძრა სისხლის სამართლებრივი დევნა სსსკ-ის 273-ე მუხლით, რომელიც ითვალისწინებდა ჯარიმას 2000 ლარის ოდენობით და 0-1 წლამდე თავისუფლების აღკვეთას. სასამართლო პროცესი ჩაინიშნა 20 დღეში. საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ ამ 20 დღის განმავლობაში ის დაკავებული იყო ბიძასთან, კ. ჯ.-სთან ერთად.

მათ ბრალი წაუყენეს სსსკ-ის 178 მუხლით (ძარცვა), რომელიც ითვალისწინებდა 5-8 წლამდე თავისუფლების აღკვეთას. მ. ც. საჩივარში ამბობს, რომ პოლიციაში მიყვანისას მას მიაკითხა მისმა მოქმედმა ადვოკატმა - ნ. ქ.-მ და შესთავაზა ამ საქმეში დახმარება. კ. ჯ.-მ ადვოკატს 1500 ლარი გადაუხადა. --- რაიონულმა სასამართლომ საჩივრის ავტორს მიუსაჯა 2 თვიანი წინასწარი პატიმრობა. შემდგომი 6 თვე მიმდინარეობდა სასამართლო პროცესები, თუმცა მ. ც. განმარტავს, რომ მისი ადვოკატი არ ცდილობდა მათ დაცვას და ამის გამო, ძარცვის საქმეზე, მ. ც.-ს და კ. ჯ.-ს მიუსაჯეს 7-7 წელი, ხოლო მ.-ს კიდევ 4 თვე მარიხუანას მოხმარებისთვის.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, ბოლო სასამართლო სხდომა ჩატარდა 2014 წლის 12 ივნისს. ქუთაისის №2 დაწესებულებაში მასთან მივიდა ადვოკატი ნ. ქ., რათა გაესაჩივრებინათ სამტრედიის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში. ადვოკატს საჩივრები გამზადებული ჰქონდა, რაზეც ხელი მოუწერეს საჩივრის ავტორმა და კ. ჯ.-მ. როგორც საჩივრის ავტორი აღნიშნავს, ისინი ელოდებოდნენ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას, თუმცა ადვოკატმა ნ. ქ.-მ პროკურორის დავალებით არ შეიტანა საჩივრები სასამართლოში და გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა განზრახ გაუშვა. ადვოკატისა და პროკურორის გეგმა იყო, რომ არ აღსრულებულიყო სამართლიანობა, რის შემდეგაც საჩივრის ავტორის განმარტებით, მიმართა ე. ბ.-ს, თ. წ.-ს, სახალხო დამცველის ოფისს, პროტესტის სხვადასხვა ზომებსაც მიმართა, მათ შორის შიმშილობდა, მიიყენა დაზიანებები სხეულზე, თუმცა ამ ყველაფერს შედეგი არ მოჰყოლია. მ. ც. ითხოვს ადვოკატ ნ. ქ.-ს შეუჩერდეს საადვოკატო საქმიანობა.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა ნ. ქ.-მ 2016 წლის 20 აპრილს ეთიკის კომისიაში წარმოადგინა წერილობითი განმარტება, რომლის მიხედვითაც იგი არ ეთანხმება საჩივარში მითითებულ გარემოებებს. ადვოკატის განმარტებით, ის მართლაც იცავდა მ. ც.-ის ინტერესებს 2014 წელს სამტრედიის რაიონულ სასამართლოში დანაშაულისთვის სსსკ-ის 272-ე და 178-ე მუხლებით, თუმცა სასამართლო პროცესი გადაიდო ხუთჯერ მ. ც.-ის პრობლემებიდან გამომდინარე. სასჯელის სახედ და ზომად მ. ც.-ს განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 7 წლის ვადით. ადვოკატის განმარტებით, ის ყველა სამართლებრივ საშუალებას იყენებდა ბრალდებულის უფლებების დასაცავად და ითხოვდა, რომ მის მიმართ გამოტანილიყო გამამართლებელი განაჩენი, მაგრამ ასე არ მოხდა, რადგან ბრალდების მხარეს ჰქონდა ყველა ის მტკიცებულება, რომელიც ადასტურებდა მის ბრალეულობას. პროკურორმა დაცვის მხარეს შესთავაზა საპროცესო შეთანხმების დადებაც, მაგრამ ბრალდებულმა უარი განაცხადა აღნიშნულზე და იყენებდა დუმილის უფლებას, თავს არ ცნობდა დამნაშავედ, მიუხედავად იმისა, რომ ადვოკატის განმარტებით, მან გაუწია კონსულტაცია, როგორც მ. ც.-ს, აგრეთვე კ. ჯ.-საც და ურჩია საპროცესო შეთანხმების დადება, რადგან აღნიშნული უფრო მსუბუქი სასჯელის გამოყენებას გულისხმობდა. მ. ც. და კ. ჯ. ითხოვდნენ პროკურორისგან ხელწერილს, რომ აღიარების შემთხვევაში ბრალდების მხარე ნამდვილად დაუდებდა მათ საპროცესო შეთანხმებას. ადვოკატის განმარტებით, ეს არ ჯდება სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის ნორმებში და მსგავსი შინაარსის კლიენტის მოთხოვნას ვერ გადასცემდა პროკურორს.

2.2 ადვოკატ ნ. ქ.-ს განმარტებით, რაც შეეხება სააპელაციო საჩივარს, პირველი ინსტაციის სასამართლოს სხდომების დასრულების შემდეგ დაუკავშირდა ლ. მ. (კლიენტის დედა), რომელმაც სთხოვა სააპელაციო საჩივრის მომზადება. ადვოკატმა მოამზადა სააპელაციო საჩივარი, გააცნო ლ. მ.-ს და შემდეგ შევიდა მსჯავრდებულებთან, რათა ხელი მოეწერათ საჩივარზე. ის შეხვდა მ. ც.-ს და კ. ჯ.-ს და ადვოკატისგან მიღებული ხანგრძლივი კონსულტაციის მიუხედავად, ისინი კვლავ გარანტად პროკურორის ხელწერილს ითხოვდნენ. კ. ჯ.-მ ხელი არ მოაწერა სააპელაციო საჩივარს და დახია სააპელაციო საჩივარი. მართალია მ. ც.-მ სააპელაციო საჩივარს ხელი არ მოაწერა, მაგრამ არ დაუხევია. ადვოკატმა ჩათვალა, რომ სააპელაციო საჩივარზე ისინი უარს აცხადებდნენ, რადგან ხელი არ მოაწერეს საჩივარს და პროკურორისგან ითხოვდნენ ხელწერილს.

2.3 ადვოკატ ნ. ქ.-ს განმარტებით, მსჯავრდებულების პოზიცია მოახსენა ლ. მ.-ს და უთხრა, რომ კ. ჯ.-მ ხელი არ მოაწერა საჩივარს და დახია, ხოლო მ. ც.-ს არ დაუხევია, მაგრამ ხელი არ მოაწერა. ადვოკატის განმარტებით, მ. ც.-ის დედამ სთხოვა შესულიყო მის შვილთან სასაუბროდ. ამ დროს გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა გასული იყო და გადაწყვიტეს, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიაში შეეტანათ შუამდგომლობა განაჩენის გადასინჯვის შესახებ ახალ გარემობათა გამო, რომელიც იქნებოდა დაზარალებულის მიერ გაცემული სანოტარო დასტური მსჯავრდებულების მიმართ პრეტენზიის არქონის შესახებ, რომელსაც მანამდე ზედმეტად მკაცრი პოზიცია გააჩნდა, როგორც გამოძიებაში, ასევე სასამართლოს სხდომაზეც და რომელიც ითხოვდა ბრალდებულების მკაცრად დასჯას. ადვოკატის განმარტებით, მან შეადგინა აღნიშნული შუამდგომლობის მონახაზი, მაგრამ მ. ც.-მ, რომელიც ადვოკატს შეხვედრის დროს დაპირდა, რომ --- მცხოვრები მისი მეგობრები დაეხმარებოდნენ აღნიშნულის მოწესრიგებაში, კერძოდ უნდა შეხვედროდნენ დაზარალებულს, ვერ შეძლო კომუნიკაცია დაზარალებულთან და ადვოკატს აღარ მიუმართავს სასამართლოსთვის.

2.4 ადვოკატ ნ. ქ.-ს განმარტებით, ეთიკის კომისიიდან საჩივრის მიღების შემდეგ, ის დაუკავშირდა მ. ც.-ის დედას, ქალბატონ ლ. მ.-ს, რომლისთვისაც ცნობილი იყო შვილის საჩივარში არსებული ყველა გარემოება და გააცნო მ. ც.-ის საჩივარი, რაზეც ლ. მ. განერვიულდა და ბოდიში მოუხადა თავისი შვილის საქციელის გამო და თავისი ხელით დაწერა საჩივართან დაკავშირებით განცხადება, რაც წარმოდგენილია ეთიკის კომისიაში.

2.5 ადვოკატი ნ. ქ. არ ეთანხმება ყოფილი კლიენტის ბრალდებას პროკურორთან შეთანხმებაზე, რადგან მისი განმარტებით, ის ყველა სამართლებრივ მექანიზმს იყენებდა მსჯავრდებულის უფლებების დასაცავად, მაგრამ თავად მსჯავრდებულს ჰქონდა ისეთი მოთხოვნები, რაც არ ჯდება საპროცესო კანონმდებლობაში. ადვოკატი ითხოვს საჩივრის ავტორს უარი ეთქვას საჩივრის დაკმაყოფილებაზე.

3. ადვოკატის მოწმის, ლ. მ.-ის, განმარტება:

3.1 საჩივრის ავტორის, მ. ც.-ის დედის ლ. მ.-ის განმარტებით, მ. ც. სასჯელს იხდის პენიტენციური დეპარტამენტის №8 დაწესებულებაში. მ. გაასამართლა --- რაიონულმა სასამართლომ 2014 წლის ივნისში და მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 7 წლის ვადით. მის ინტერესებს იცავდა ადვოკატი ნ. ქ.. მიუხედავად ადვოკატ ნ. ქ.-ს დაუღალავი შრომისა, მ. ც.-ის სასამართლო პროცესი ხუთჯერ გადაიდო საპროცესო შეთანხმების პირობებზე მოლაპარაკების გამო. პროცესის დასრულების

შემდეგ, ადვოკატმა ნ. ქ.-მ შეადგინა სააპელაციო საჩივარი და შეხვდა პატიმრებს, რომლებსაც ეს საჩივარი გააცნო, რაზეც, მ. ც. თანახმა იყო, მაგრამ კ. ჯ.-მ ადვოკატ ნ. ქ.-ს არ მისცა საშუალება და ხელი არ მოუწერა საჩივარზე, რადგან საპროცესო შეთანხმების გაკეთება არ აღიარებით სურდა.

3.2 ლ. მ.-ის განმარტებით, თავად მან წაიყვანა ადვოკატი ნ. ქ. კლიენტთან შესახვედრად სასჯელაღსრულების დაწესებულებაში სააპელაციო საჩივრის დასაწერად. მსჯავრდებულებთან შეხვედრის შემდეგ ადვოკატი ნ. ქ. განერვიულებული გამოვიდა და უთხრა ლ. მ.-ს, რომ თავის დაწერილ სააპელაციო საჩივარს კ. ჯ.-მ ხელი არ მოაწერა, უფრო მეტიც, დახია მის წინაშე და მოითხოვა პროკურორისგან ხელწერილი, რომ აღიარების შემთხვევაში გაუკეთდებოდა საპროცესო შეთანხმება. ანალოგიურად მოიქცა მ. ც.-ც. ლ. მ.-ის განმარტებით, ამის შემდგომ მას დაურეკა მ. ც.-მ და მოითხოვა, რომ ადვოკატი კვლავ შესულიყო მასთან, რა დროსაც სააპელაციო გასაჩივრების ვადა უკვე გასული იყო. თუმცა, ადვოკატ ნ. ქ.-ს ინიციატივით, მან კიდევ ერთხელ შეძლო საჩივრის მომზადება ახლად გამოვლენილი გარემოებებიდან გამომდინარე, რისი წარდგენაც კვლავ ვერ მოხერხდა ისევ მ. ც.-ის გამო და არა ადვოკატის ბრალეულობით.

II სამოტივაციო ნაწილი

4. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

4.1 ნ. ქ. არის სსიპ საქართველოს ასოციაციის წევრი /სიითი №/, სპეციალიზაცია - სისხლის სამართალი.

4.2 მ. ც.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა 2016 წლის 21 მარტს.

4.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2014 წელს. „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე დაცულია ეთიკის კომისიისადმი საჩივრით მომართვის ვადა – 5 წელი.

5. შემაჯამებელი დასკვნა:

ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ნ. ქ.-ს მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების 30-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

6. სამართლებრივი შეფასება:

6.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია გამოიხატება შემდეგში: ადვოკატი ნ. ქ. არ ასრულდებდა თავის ვალდებულებებს კანონის შესაბამისად და მეტიც, ადვოკატს და პროკურორს ჰქონდათ საერთო გეგმა, რის საფუძველზეც არ მოხდა საპროცესო შეთანხმების დადება, ადვოკატმა გაუშვა გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა და შესაბამისად, არ მოხდა მ. ც.-ის, როგორც ბრალდებულის უფლებების სათანადო დაცვა.

6.2 ეთიკის კომისიამ ადვოკატ ნ. ქ.-ს პროფესიული ქცევები შეამოწმა შემდეგი ნორმის ფარგლებში:

აპეკ-ის 8.2 მუხლი: „ადვოკატმა საქმე უნდა აწარმოოს კლიენტის, მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის ან შესაბამისი ორგანოს მიერ დანიშნული კომპეტენტური პირის მითითებით, სავალდებულო დაცვის შემთხვევაში.“

აპეკ-ის 8.5 მუხლი: „ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს, კეთილსინდისიერად უნდა განახორციელოს კლიენტის წარმომადგენლობა“

6.3 ადვოკატმა პროფესიული საქმიანობა უნდა განახორციელოს კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად, რაც გულისხმობს იმ ვალდებულების ჯეროვნად შესრულებას, რომლებიც აიღო კლიენტთან შეთანხმებით, მისი საქმის საწარმოებლად. ადვოკატი ვალდებულია დაიცვას კლიენტი კანონით გათვალისწინებული საშუალებებით და მასთან შეთანხმებით მიიღოს საქმისთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები.

6.4 ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე–2 მუხლი განაზღვრავს ადვოკატის საქმიანობის ფარგლებს, რომლის თანახმად საადვოკატო საქმიანობა მოიცავს: ,,ადვოკატის მიერ იურიდიული რჩევის მიცემას იმ პირისათვის, რომელმაც მას დახმარებისათვის მიმართა (კლიენტი); კლიენტის წარმომადგენლობას საკონსულტაციო დავის, სისხლის, სამოქალაქო ან ადმინისტრაციული სამართლის საქმეზე სასამართლოში, არბიტრაჟში, დაკავების, გამოძიების ორგანოებში, მესამე პირის მიმართ სამართლებრივი დოკუმენტების მომზადებას და კლიენტის სახელით ნებისმიერი დოუმენტაციის წარდგენას; ისეთი იურიდიული დახმარების გაწევას, რომელიც არ უკავშირდება მესამე პირის წინაშე წარმომადგენლობას.“ დასახელებული მუხლის თანახმად, ადვოკატის საქმიანობა მოიცავს კლიენტისადმი დადგენილი ვალდებულებების კეთილსინდისიერად და კანონმდებლობის ფარგლებში შესრულებას. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი განსაზღვრავს საადვოკატო საქმიანობის ფარგლებს და ადვოკატს აკისრებს ვალდებულებებს კლიენტის მიმართ, ადვოკატსა და კლიენტს შორის გაფორმებული ზეპირი თუ წერილობითი ხელშეკრულების საფუძველზე.

6.5 საჩივრის ავტორს გააჩნია პრეტენზია, რომ ადვოკატმა ნ. ქ.-მ არ იმოქმედა მისი ინტერესებიდან გამომდინარე როგორც პირველი ინსტანციის წესით საქმის განხილვისას, ასევე გადაწყვეტილების გასაჩივრებისას, ვინაიდან კლიენტმა ხელი მოაწერა საჩივარს და გადასცა ადვოკატს სასამართლოში წარსადგენად, ხოლო შემდეგ აღმოაჩინა, რომ ადვოკატს სასამართლოსთვის არ მიუმართავს საჩივრით.

6.6 იმის გასარკვევად, მოქმედებდა თუ არა ადვოკატი კლიენტის მითითებების შესაბამისად, საპროცესო კოლეგიამ შეისწავლა დისციპლინური საქმის მასალები და გამოარკვია, რომ კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე ადვოკატმა ნ. ქ.-მ დაიცვა კლიენტის ინტერესები --- რაიონულ სასამართლოში სისხლის სამართლის საქმეზე № (დგინდება 2014 წლის 06 ივნისის --- რაიონული სასამართლოს სხდომის ოქმითა და 2014 წლის 12 ივნისის განაჩენით).

6.7 ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-16 მუხლის შესაბამისად, ,,დისციპლინური წარმოების მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებით გაეცნონ საქმის მასალებს და გადაიღონ მათი ასლები; განაცხადონ აცილებები; წარადგინონ მტკიცებულებები; ეთიკის კომისიას მიმართონ შუამდგომლობებით; მისცენ ახსნა-განმარტებები და წარადგინონ თავიანთი მოსაზრებები დისციპლინური წარმოების დროს წამოჭრილ ყველა საკითხზე. ამავე დებულების

მე-17 მუხლის მიხედვით, ,,მტკიცებულებებს დისციპლინურ კოლეგიას წარუდგენენ მხარეები. თუ მხარეებმა ვერ შეძლეს მტკიცებულებების მიღება და დისციპლინურ კოლეგიაში წარდგენა, მხარეთა შუამდგომლობით ან საკუთარი ინიციატივით დისციპლინურ კოლეგიას შეუძლია თვითონ გამოითხოვოს მტკიცებულებები".

6.8 ეთიკის კომისია ეყრდნობა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 28 ივნისის განჩინებას №2ბ/183-11, რომლის მიხედვით ,,მტკიცების ტვირთს მატერიალური კანონი განსაზღვრავს, კერძოდ, ეს ის შემთხვევებია, როდესაც კანონით გათვალისწინებული შემადგენლობის არსებობის პრეზუმფცია მოქმედებს, ხოლო კანონით გათვალისწინებული შემადგენლობისგან განსხვავებული ფაქტობრივი გარემოებების მტკიცების ტვირთი იმას ეკისრება, ვინც საკანონმდებლო წესრიგიდან არსებულ გადახრას ამტკიცებს." მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან, მ. ც.-ს გააჩნია პრეტენზია, რომ ადვოკატმა ნ. ქ.-მ მის მიმართ დაარღვია ადვოკატთა ქცევის სტანდარტი, შესაბამისად საჩივრის ავტორს ეკისრება ფაქტობრივი გარემოებების მტკიცების ტვირთი. მან უნდა შეუქმნას კომისიას დასაბუთებული ვარაუდი, რომ საჩივარში წარმოდგენილი სადავო მოქმედებები ჩაიდინა ადვოკატმა. ეთიკის კომისიაში მხარეს მტკიცებულებების წარდგენის საშუალება აქვს საჩივრის წარდგენისას და საპროცესო კოლეგიაში საქმის წარმოების ნებისმიერ დროს, სანამ საპროცესო კოლეგია მიიღებს საქმეზე გადაწყვეტილებას. საჩივრის ავტორს ჰქონდა გონივრული ვადა, რათა კომისიისთვის წარმოედგინა საჩივარში აღწერილი გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულებები. მ. ც.-ს ახსნა-განმარტების გარდა ეთიკის კომისიაში სხვა რაიმე მტკიცებულება არ წარმოუდგენია. ეთიკის კომისიამ საკითხის - როგორც საჩივრის ავტორის უთითებს, ადვოკატის მიერ გადაწყვეტილების გასაჩივრების წესის დარღვევის - სრულყოფილად შესწავლისთვის 2016 წლის 28 ივნისს საკუთარი ინიციატივით მიმართა სასჯელაღსრულების № დაწესებულებას მ. ც.-სა და ადვოკატ ნ. ქ.-ს შორის არსებული შეხვედრების ამონაწერის მისაღებად, ასევე იკითხა 2014 წლის ივნისის ან ივლისის თვეში სოციალური მუშაკის მიერ თუ დამოწმდა მსჯავრდებულ მ. ც.-ის ხელმოწერა სააპელაციო საჩივარზე. 2016 წლის 06 ივლისს ეთიკის კომისიას უარი ეთქვა გამოთხოვილი ინფორმაციის მიღებაზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 44-ე მუხლის თანახმად. 2016 წლის 28 ოქტომბერს ეთიკის კომისიამ განმეორებით მიმართა სასჯელაღსრულების № დაწესებულებას. 2016 წლის 31 ოქტომბრის წერილით ეთიკის კომისიას ეცნობა, რომ პატიმარ მ. ც.-სთან ადვოკატ ნ. ქ.-ს შემოსვლა ფიქსირდება 2014 წლის 06 და 30 მაისს, 23 ივნისს, 01 და 23 ივლისსა და 11 სექტემბერს. კომისიას ასევე ეცნობა, რომ 2014 წელს არ წარმოებდა № დაწესებულების სოციალური მუშაკების მიერ დამოწმებული სააპელაციო და საკასაციო საჩივრების აღრიცხვის ჟურნალი, რის გამოც მეორე საკითხზე ინფორმაცია არ მუშავდებოდა. ეთიკის კომისიამ სასჯელაღსრულების დაწესებულებასთან წარმოებული მიმოწერა 2017 წლის 27 ივლისს გაუგზავნა მ. ც.-ს და როგორც მომჩივან მხარეს მისცა ერთი თვის ვადა გაცნობოდა წერილის დანართებს და მის მიერ მითითებული ფაქტის, კერძოდ სააპელაციო საჩივრის ხელმოწერისა და ადვოკატის მიერ სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან გამოტანის დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოედგინა. საჩივრის ავტორს არ წარმოუდგენია ეთიკის კომისიისთვის რაიმე მტკიცებულება.

6.9 ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ ის ფაქტი, რომ ადვოკატმა მ. ც.-სთან მომზადებული სააპელაციო საჩივარი გასაჩივრების ვადის დაცვით შეიტანა, სადაო არ არის, რადგან აღნიშნული დგინდება, როგორც მხარეთა, ასევე მოწმის განმარტებით, კლიენტისა და ადვოკატის

შეხვედრების ამონაწერით. ამავე დროს სადაოა კლიენტის მიერ სააპელაციო საჩივრის ხელმოწერა და ადვოკატის მიერ სასაჯელაღსრულების დაწესებულებიდან გამოტანა. კლიენტსა და ადვოკატს მოცემულ ფაქტზე აქვთ განსხვავებული პოზიცია, თუმცა მოწმე ადასტურებს იმ გარემოებას, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან გამოსვლის შემდეგ ადვოკატმა აცნობა, რომ მ. ც. უარს ამბობდა გადაწყვეტილების გასაჩივრებაზე და მოგვიანებით შემუშავდა საქმის წარმოების ახალი სტრატეგია, რის გამოც ადვოკატი კიდევ ერთხელ და საბოლოოდ შეხვდა კლიენტს 11 სექტემბერს. დისციპლინურმა კოლეგიამ ისარგებლა უფლებით საკუთარი ინიციატივით გამოეთხოვა გარკვეული სახის ინფორმაცია, თუმცა მიღებული პასუხები არ ადგენს სადაო ფაქტობრივ გარემოებას. შესაბამისად, ობიექტურად ვერ დგინდება კლიენტის მიერ საჩივრის ხელმოწერა და ადვოკატის მიერ ხელმოწერილი საჩივრის მიღება სასამართლოში წარსადგენად.

6.10 საჩივრის ავტორის პრეტენზია, რომ ადვოკატი ნ. ქ. მოქმედებდა პროკურორთან შეთანხმებით, კერძოდ ადვოკატს და პროკურორს ჰქონდათ საერთო გეგმა, რის საფუძველზეც არ მოხდა საპროცესო შეთანხმების დადება, ადვოკატმა გაუშვა გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა, ეთიკის კომისიამ შეამოწმა შემდეგი მუხლის ფარგლებში:

> აპეკ-ის მე-5 მუხლი: „ადვოკატმა ყოველთვის უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და დააყენოს ისინი პირადი და სხვა პირების ინტერესებზე მაღლა.“

6.11 ადვოკატმა კლიენტის ინტერესები უნდა დაიცვას დამოუკიდებელი პროფესიული მომსახურებით, რაც გულისხმობს, რომ ადვოკატი ვალდებულია დამოუკიდებელი იყოს გარეშე გავლენებისაგან, მათ შორის, მისი პირადი ინტერესებისაგან. ადვოკატმა კლიენტის ინტერესები ყოველთვის უნდა დააყენოს უპირატესად სხვა პირთა ან მესამე პირთა ინტერესებთან შედარებით (ეთიკის კომისიის 2012 წლის 25 მაისის გადაწყვეტილება დისციპლინურ საქმეზე №112/11).

6.12 დისციპლინური საქმის მასალებით დგინდება, რომ ადვოკატი ნ. ქ. მოქმედებდა კლიენტთან შეთანხმებით, ჰქონდა მასთან კომუნიკაცია საქმეზე, მონაწილეობდა კლიენტის სასამართლო სხდომებზე და სხვა საპროცესო მოქმედებებში და ორიენტირებული იყო კლიენტის დაცვაზე. ადვოკატის კავშირი ბრალდების მხარესთან კლიენტის ინტერსების საწინააღმდეგოდ არ დასტურდება საქმეში არსებული მასალებით.

6.13 საპროცესო კოლეგია მიიჩნევს, რომ არ არსებობს საკმარისი ვარაუდი ადვოკატ ნ. ქ.-ს მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე და შესაბამისად ადვოკატ ნ. ქ.-ს წინააღმდეგ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა.

საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 32–ე, 33–ე მუხლებით; დებულების 40.1 მუხლით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №020/16 ადვოკატ ნ. ქ.-ს /სიითი №/ მიმართ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ია გაბედავა/

კოლეგიის წევრი: /არჩილ ჩოფიკაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ბესარიონ ბოხაშვილი/